№ 267 დეკემბერი 15, პარასკევი 1889 დეკემბერი 15, პარასკევი № 267

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აგზალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასსა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

კნ. ანნა ზაზას ასული აბაშიძისა და სიმონ და ნიკოლოზ აბაშიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ პირველი ქმრისა და დანარჩენნი ძმისა თ. ლევან დიმიტრის აბაშიძის გარდაცვალებას და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზე, 15 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ს. ზემოჭალას.

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### ქართული თეატრი

სამშაბათს 19 დეკემბერს,

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**შუღლით**

კომედ. 4 მოქმედ. ფრანგულიდამ

II

ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, აკალიშვილისა, დიმელი; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ხუციშვილი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 14 დეკემბერი

ძალიან საყურადღებო ამბად უნდა ჩაითვალოს, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ფიქრი მოსვლია წიგნის მაღაზიის დაარსებისა. სასიამოვნო როგორ არ უნდა იყოს ეს საქმე, როდესაც იგი ერთისა და ორის კაცის ხელში-კი არ იქნება, არამედ მთელის კრებულის, მთელის ინტელიგენციის ხელში. ვიცით რა, რომ ქართველს საზოგადოდ არ აკლია უნარი ორგანიზაციურის ვაჭრობისა, წინადვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს დიდი საქმე დიდს ნაყოფსაც მოიტანს. დიდის ხნის უვარჯიშობის გამო ქართველს ეხამუშება ვაჭრობა, რადგაც საძრახისს საქმედ მიაჩნია. რა გავლენას იქონიებს უმრავლესობაზე ჩვენში ის ამბავი, რომ მთელი დაწესებულება, მთელი საუკეთესო ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა ერთობილის ძალით, სიმხნითა და ენერგიით იწყებს ვაჭრობას! ეს ზნეობრივი მხარეა საქმისა. ისე აკადემიურად რომ შევხედოთ ამ საქმეს, მაინც სასიამოვნოა. რამდენს დილეტანტს ქართველს მოუვა სასიამოვნო ღიმილი, როცა დაინახავს, რომ ქართველმა საზოგადოებამ ვაჭრობა დაიწყოვო. მთელი კაცობრიობა ვაჭრობს, ამით სულდგმულობს, და როგორ არ ვისიამოვნოთ, როცა ვხედავთ, რომ ეს სახსარი ცხოვრებისა ჩვენშიაც იკიდებს ფეხს. მაგრამ ამ საქმეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მუშტრის თვალითა და პრაქტიკულის შეხედულობით დავუკვირდებით.

უეჭველია, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ამ საქმისათვის არ დაჰზოგავს არც ფულს, არც სარისტასა და არც სიმხნეს. მაშინ ეს ვაჭრობა იმდენად შეისხავს ხორცს, ისე გაფართოვდება, რომ მთელს საქართველოს გაიხდის სამოქმედო ასპარეზად. მაშინ ყველა დაბა-სოფელში ექმნება განყოფილება. ამ ვაჭრობის მოგებით „საზოგადოება“ გამოსცემს ჩვენის მწერლების ყველა ნაწარმოებს. წიგნები ხალხში გავრცელდება. ხალხს გაეხსნება ხალისი წიგნის კითხვისა, და ეს ხომ წინასწარი გრძნობაა იმ დიდებულის გრძნობისა, რომელსაც თვითზრდას ეძახიან. ჩემის აზრით, ფრიად საჭიროა, რომ უპირველესი ყურადღება ზემოხსენებულმა საზოგადოებამ ამ საგანს მიაქციოს, ჩვენის მწერლების თხზულებათა გამოცემის საქმეს გულ-დადებით შეუდგეს და ჩვენის მწერლების ნაწერები, დაფანტული „კრებულ-მნათობებში“ და დაობებული გამოუცემლობით, დაჰბეჭდოს და გაავრცელოს ხალხში. ამით ის-კი არ მინდა ვსთქვა, ვითომ ჩვენის ხალხის სულიერს მოთხოვნილებას მარტო ჩვენის მწერლების ნაწერები დააკმაყოფილებდეს. არა, ამ ძალას ზრდა უნდა, მაგრამ ზრდა გონივრული, სისტემატიური. ეროვნული მწერლობა გაუღვიძებს ხალხს სურვილს კითხვისას, საკაცობრიო მწერლობის სიყვარულს. აი რის თქმა მინდოდა. ამ გვარად საქმის დაგვირგვინებისათვის მარტო „წერა-კითხვის საზოგადოების“ უნარი, გამჭრიახობა ერ იკმარებს. აქ საჭიროა მთელი ქართველი ინტელიგენცია ამოუდგეს მხარში ამ საზოგადოებას და დახმარება და შველა აღმოუჩინოს.

ჩვენს დაბა-ქალაქებში გაფანტული ინტელიგენცია რომ შეერთდებოდეს ერთად და რომელსამე საქმეს შეუდგებოდეს, რას არ გააკეთებდა? მთას გაანგრევდა, თუ ჩვეულებრივი უთანხმოება და ერთმანეთის ქიშპობა აიცილა როგორმე თავიდგან. რას არ გააკეთებს ერთის წადილითა და ენერგიით გატაცებული კრებული ახალგაზდობისა! „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ამ გვარად უნდა დავეხმარნეთ პროვინციელი ქართველები ამ საქმეში: ყველგან, სადაც ინტელიგენცია სცხოვრობს, უნდა შესდგეს ამხანაგური წრე და ბიბლიოთეკების დასაარსებელი თანხა შეგროვდეს. ვინ იცის რამდენს წიგნს გაასაღებს „საზოგადოება“ ამ ბიბლიოთეკაში! მერე რა ადვილი საქმეა. ერთი პირი, ერთი სურვილი, ერთი ძალა, სხვა არაფერია აქ საჭირო. მერე რა სარგებლობა ექნება ხალხისათვის ამ გვარს ბიბლიოთეკას? ყოველივე საქმე, ვაჭრობაა, თუ სხვა, ასე იდგამს ფეხსა, ასე სწარმოებს ყველგან. მაშ აბა ჩვენც ასე მოვიქცეთ და ვნახოთ, რას მოვიმკით. ინებოს უფალმა, ჩემი აზრი, აქ გამოთქმული, ტკბილ ოცნებად არ დარჩეს და ხორცი შეისხას.

მოსე ნათაძე

## ახალი ამბავი

*** ქუთაისიდგან დეპეშით გვატყობინებს ექიმი ს. თოფურია, რომელიც აწ ავადმყოფს ყოვლად სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელსა სწამლობს, რომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი თუმცა მძიმედ არის ავად, მაგრამ მაინც-კი მორჩენის იმედი სულ არ დაგვიკარგავსო.

*** დადგა სეზონი კალენდრებისა, მაგრამ ჯერ კალენდრები-კი არსადა სჩანან, თუმცა მთხოვნელთა რიცხვი დიდია. „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიას მოუვიდა სხვადასხვა მხრიდგან წერილები კალენდრის შესახებ. ყველგან იმასა სხი-

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

საშვილი-შვილო წყევლა.—ქართველი კაცი - მეურნე.—გაჩნაქეანთ ტყე და მინდორი.—უბედური გარსკვლავი.—წინამძღვრიანთ კარის სკოლა.

მართალია, კაცს ღიმილი მოუვა, როდესაც კითხულობს ზოგიერთის ჩვენის კორრესპონდენტის წერილს, სადაც ჩამოთვლილია ამბები თუნდა ისეთის სოფლისა, რომლის მკვიდრთა რიცხვი მოთავსებულია სულ სამ-ნახევარ კომლში. სასაცილო მხარე ამისთანა წერილებისა ის არის, რომ თითქო კორრესპონდენტს კომპასი უჭირავს ხელში და ჰფრთხილობს არ შემცდესო და სწორეთ აღვწეროო, ამადა-ამ სოფელს რა ჰსაზღვრავს სამხრეთით, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთითო. კაცს ეგონება, კორრესპონდენტი სანდვიჩევის რომელსამე პატარა კუნძულს მისდგომია და, გასაშტერებლად ქვეყნისა, უპოვნია სოფელი, ადამიანებით დასახლებულიო. მოდი და ნუ ასწერ დაწვრილებით ამ სოფლის გეოგრაფიულს მდებარეობას.

ასეთი აღწერა ქართულის სოფლისა ძალა-უნებურად მოგგვრით ღიმილს. მაგრამ ამავ აღწერაში უთუოთ სატირალი მხარეც შეგხვდებათ. ყოველ წერილიდამ თქვენ, გარდა გეოგრაფიულ მდებარეობისა, ჰხედავთ, რომ სოფელი საუცხოვოდ არის შემკული ბუნებურის მშვენიებითა და სიტურფით, სავსეა ათას გვარის სიმდიდრით — თუ მადნეულობით, თუ მიწის სინოყიერით, თუ მინერალურ წყლებითა და სხვანი. როდესაცა ჰკითხულობ ამ აღწერას, თავის დღეში არ მოგივა ფიქრად, რომ ასეთს შეზავებულ ბუნებაში ხალხის ცხოვრება აყვავებული იყოს, სიუხვე ქონებისა აუარებელი, ბედნიერება და ნეტარება მკვიდრთა აუწერელი და სხვანი. თავის დღეშიაც არ გაგიელით ასეთი ყოვლად კანონიერი აზრი. პირ-იქით, წინათვე დარწმუნებული ხართ, რომ ბუნების სიმდიდრეს უთუოდ უნდა ამშვენებდეს მკვიდრთა სილატაკე ჯიბისა, სითხელე სულისა, უბადრუკობა გულისა და მრავალი ამისთანა სიმახინჯე, იმიტომ-რომ ამ მდიდარ ბუნებაში ცას აბნელებს ჩვენი თანამემამულე, ჩვენი ქართველი კაცი, რომელიც მაგდენს არ დაგიდევს არც ბუნების მშვენიერებას და არც იმის სიმდიდრეს, ოღონდ-კი დღეში სამი-ოთხი გირვანქა მჭადი უზრუნეთ იმასა და ერთი ჩარექა ღვინო არ მოაკლოთ.

ჰო-და, წინათვე იცი, რომ იმ ნეტარ სოფელში ყოველივე ისე უხამსად უნდა იყოს მოწყობილი, როგორც ყველგან ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში. მაგრამ ჩვენი გაოცებული კორრესპონდენტი მაინც თავის წერილს გაათავებს შემდეგის სიტყვებით: „რამდენადაც მადლიანია ბუნება, რამდენადაც გასაკვირველია იმისი სიმდიდრე, იმდენად გასაშტერებელია მკვიდრთა წარმოუდგენელი სილატაკე. სიმშილისაგან სული კბილით ძლივს-ღა გვიჭირავსო“.

ამისთანა წერილები მოგვდის ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხიდამ — ქართლი გინდათ, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი, აჭარა, ქობულეთი, ჯავახეთი, თუშეთი — ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც-კი ჰსულდგმულობს ჩვენი ყოვლად დარბაისელი, ყოვლად ლატაკი, ყოვლად მოუხერხებელი ქართველი კაცი. და მოგვდის იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა მართლაც ყველგან მშვენიერი, ტურფა და მდიდარია, თითქო იესო ქრისტეს ზედ დაეპერტყოს თავისი უხვი კალთაო, და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი თანამემამულე ყველგან გასწორებულია მიწასთან თავისს უქონლობით, შეუძლებლობით, უფიქრელობით, უზრუნველობით, მოუხერხებლობით და სხვა ამისთანა უადგილო თვისებით, თითქო რაღაც საშვილიშვილო წყევლა აკერია შუბლზედ და ამ წყევლის ძალით უნდა იჯდეს შემკულ ბუნებაში და კუჭი-კი საცოდავად უხმებოდეს სიმშილისაგან, გული უშრებოდეს და გონება ეხუთებოდეს უვარჯიშობისაგანაო.

**

თუ არ ასეთი საშვილიშვილო წყევლა, მაშ რა ღვთის წყრომაა, რომ ქართველი ყველაფერში დაქვეითებულია — მრეწველობა გინდათ, ვაჭრობა, მოქალაქეობა, განათლება და, ასე გასინჯეთ, მეურნეობაც-კი! სხვა ყველა-ყველა, მაგრამ მეურნეობაც რომ არა გვქონდეს გაძლიერებული, როდესაც მამა პაპიდამ ამის მეტი საქმე თითქმის სხვა არა გვჭერია-რა ხელში და როდესაც ჩვენი ბუნება ერთობ ხელს უწყობს მეურნეობას, ეს-კი სწორედ დიდი ცოდვაა. მაგრამ როდესაცა ჰხედავ, რომ მეურნეობა არა თუ გაძლიერებული და აყვავებული არ არის, არამედ კიბოსავით სულ უკან-უკან მიდის და მიწასთანა სწორდება, ამისთანა ამბავი-კი, არა თუ ცოდვა, დიდი დანაშაულია წინაშე ჩვენთა თანამემამულეთა, დანაშაულია წინაშე კაცობრიობისა, წინაშე ქვეყნისა, წინაშე მთელის ჩვენის ხალხის კეთილდღეობისა, წინაშე ღვთისა და ერისა!..

როცა-კი სიტყვა ჩამოვარდება ხოლმე ჩვენებურ მეურნეობის დავარდნაზე, მაშინვე წავატანთ ხელს თავის გასამართლებელ საბუთებს. მაგალითად, აბა რა ვქნათო, მამულები ჯერ არა გვაქვს გამიჯნულიო, ჩვენ სულ ერთმანეთის დავიდარაბას ვეუნდებითო, ვის და სცალიან მამულის მოვლა-პატრონობისათვისო. აბა დააჩქარეთ გამიჯვნა, ყველას ჩვენჩვენი ჩაგვაბარეთ, დავა და ჩივილი მოგვაშორეთ თავიდამ, და მაშინ

ეიან, რომ აქ ქართული კალენდრები ძალიან გვიან მოდის და ამიტომ იძულებულნი ვართ რუსული ვიყიდოთ, თუმცა მომეტებულს ნაწილს რუსულისა არაფერი გაგვეგება. აი, მაგალითად, ერთის წერილის შინაარსი, რომელიც მიიღო „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ დაბა ოჩამჩირიდამ: „აქ ძალიან ჩქარა ჩამოაქვთ სხვა-და-სხვა უფრო რუსული კალენდარი და აგდილობრივი საზოგადოება ძალა-უნებურად ჰყიდულობს (თუმცა რუსული ხეირიანად ვერ გაგვეგება), რადგან ქართული კალენდარი დროზედ ვერ უშოვნია. მოთხოვნილება და საჭიროება კალენდრისა ძლიერ დიდია“. ურიგოს არ იზამდნენ ჩვენი ქართულის კალენდრების შემდგენელ-გამომცემელნი, რომ ადრე დაიწყონ ხოლმე ბეჭდვა და დროზედ დაჰგზავნონ აქეთ-იქით დაბა-ქალაქსა და აგრეთვე დიდრონს სოფლებშიაც.

*** დეკემბრის 7-ს ბაქოს რკინის გზის სადგურზედ საზარელი ამბავი მომხდარა. ხალხისა და ბარგის ბაქოსკენ მიმავალს ორთქლით მატარებელს გაუტანია ერთი ახალგაზდა მეისრე ისარზედ. საბრალო ისარს იქიდამ დალვივებულ ცეცხლზედ თბებოდა თურმე და ვერ შეემჩნია მიმავალი მატარებელი. როდესაც დაესტვინათ, მეისრე გადამხტარიყო ისრის გასასწორებლად, რომ მატარებელი სხვა ლიანდაგზედ გავლას ასცდესო, მაგრამ ველარ გადაუსწვრია და მატარებელს ქვეშ მოჰყოლია. გამწარებული მეისრე დაჰბლაუჭებია ვაგონებს და მოურთავს ყვირილი: „მიშველეთო“, მაგრამ ორ წუთს არ გაუვლია, რომ თვლებს ზედ შუაზედ გაუწყვეტნია.

*** ამ დღეებში ტფილისიდგან წასულა სანადიროდ რამდენიმე ყმაწვილი კაცი რკინის გზით ბორჩალოს მაზრაში. ნადირობის დროს შუა-დღის შემდეგ ერთს მათგანს, გვარად სიმონიანცს, შეუმჩნევია კურდღელი, ძაღლები გამოუდევნებია და თითონ კი გზა აუქცევია, რომ კურდღელს წინ დახვდომოდა. ამ დროს მგელი მიჰპარვია უკანიდგან და დაუგლეჯია ს—ნცი. ს—ნცს თოფის დაცლა ვერ მოუსწრია, დაცემულა მიწაზედ და მოურთავს ყვირილი: „მიშველეთო“. ეს ყვირილი გაუგიათ ამხანაგებს, მოცვივნულან და ძლივს გაუგდებინებიათ მგლის პირიდგან. მგლისთვის ამხანაგებს თოფი უსროლიათ და მოუკლავთ, მაგრამ რაღა დროს. საბრალოს ს—ნცი მოიყვანეს ამხანაგებმა ტფილისში და მოკლული მგელიც თან მოათრიეს, ექიმთან საჩვენებლად, ცოფიანი ხომ არ არისო, მაგრამ მგელი ცოფიანი არ აღმოჩნდა. სიმონიანცი ეხლა წევს და ექიმი ადგას, რომელსაც იმის მორჩენის იმედი არა აქვს თურმე.

*** ქურდობა ერთობ მოედო მთელს კავკასიას და ქურდების ხერხიანობა დიდის წარმატებაში შედის. მაგალითად ხაშურიდამ გვატყობინებენ, რომ აქ შესდგა მთელი გუნდი ქურდებისა, სულ ათამდე კაცისა. დღეს რომ ხაშურში გაქურდონ სახლი თუ დუქანი, ხვალ იქიდგან სურამს ადიან. იქ რომ მოინარიკლებენ თავიანთს საკბილოს, მაშინვე ფონას გაემგზავრებიან, იქიდამ წიფას, შემდეგ ბეჟათუბანს, და ასე ჩადიან ყვირილამდე. იქ ორიოდე დღე დარჩებიან, ფერს იცვლიან, ტანისამოსს, და მერე გამოჰყვებიან ხაშურისაკენ. ამბობენ, ბევრმა იცის ამ გმირების ვინაობა, საჩივარიცა აქვთ შეტანილი, მაგრამ დღემდე იმათ ამლაგმავი არავინ გამოჩნდაო.

*** ახალქალაქიდგან გვწერენ, რომ გორის მაზრაში სულ მოკლე ხანში აი რამდენი ავ-კაცობა მოხდაო: თ. თეიმურაზ თარხანოვს მოჰპარეს ცხენი, ნიკო თარხანოვს მოჰპარეს სამი სული საქონელი, კონა მამასახლისოვს გაუტეხეს სახლი და წაიღეს, რაც-კი მოახელეს, გიგო თარხნიშვილს მოჰპარეს ცხენი, გ. წ—ურს მოჰპარეს ხარი, შიო აფხიაურს მოჰპარეს ხარი, პატარა შიოს მოჰპარეს ხარი, აფციაურს მოჰპარეს ცხენი, გოგია შურდულოს მოჰპარეს ცხენი, გიგაურს გაუტეხეს სახლი და წაიღეს რაც რამ ებადა — 600 მანათის ღირებული, ხეჩუა ავეტიქოვს გაუტეხეს მარანი და წაიღეს, რაც-კი ნახეს, ალექსი მამაცაშვილს გაუტეხეს მარანი და წაიღეს, რაც მოხვდათ, ნაზარ-ნაზაროვს გაუტეხეს მარანი და წაიღეს, რაც მოახელეს, ნიკო თარხნიშვილს გაუტეხეს საქათმე, მღებარს გაუტეხეს საქათმე, სოლომონ მამასახლისს მოჰპარეს ძროხა და ხარი, ლევანა გუჯაშვილს მოჰპარეს ცხენი, ვანკა ნერსესოვს მოჰპარეს ცხენი, გიორგა წიკლაურს მოჰპარეს ხარი, შიო ქარქუსაშვილს მოჰპარეს ხარი, საჯავახოელს გიორგას მოჰპარეს ორი ცხენი. მიხა მაზანაშვილს გაუტეხეს სახლი და გამოუგდეს ხარი, ხარის გამოყვანა გაიგო დედამ და შვილს შეატყობინა. შვილი წამოვარდა დაფეთიანებული, პერანგა და ფეხშიშველი კეტით ხელში დაეშვა ხევისკენ, ბევრი ირბინა ხევში, მაგრამ ვერა გაიგო-რა და დაქანცული დაბრუნდა შინ. ერთ ვიწრო ორღობეს ბნელაში ორი კაცი შეაჩნია და შესძახა: „ვინა ხართო“. პასუხად გულში ლიტრიანი ქვა მოარტყეს და ზურგზე დაეცა. ჩქარა ძალა მოიკრიბა, მივარდა თათარს და ერთი რვაჯელ თავში კეტი დასთხლიშა და შინისკენ მოჰკურცხლა. სინამ ტანისამოსს ჩაიცვამდა, ხარი შინ მოვიდა. გათენებისას ჩაიდნენ ორღობეში და ნახეს სისხლის ბელტები. თათარს სიარულის თავი რომ აღარა ჰქონოდა, ოთხზედ ელო. ჰფიქრობენ, რომ მოკვდებოდაო. ამავე დილით ბოქაულს გამოუცხადეს. ბოქაული გაუჯავრდა: ჩემთან რას მორბიხართ, წადით, დაიჭირეთ, მომიყვანეთ და მე გორში წარვადგენო. ოც-და-ორს მარიამობისთვის ალექსი მამაცაშვილს ჭერი აუნგრიეს და სახლში ჩაიდნენ. ამ დროს სახლში მარტო ცოლი იყო. ცოლმა გაიგო წინა სახლში, გამოვარდა, კარები გადმორაზა, მამასახლისსა და მეზობლებს შეატყობინა, ყველანი მოგროვდნენ, სახლიდამ გამოიყვანეს ქურდი, ოქმი შეადგინეს და ბოქაულს წარუდგინეს, მაგრამ დღევანდლამდის პასუხი არ ისმის-რა.

◆◆

## გეოგრაფიულის საზოგადოების კრება.

ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, საღამოს რვა საათზედ, სამხედრო ოლქის შტაბის სადკურში შეიკრიბა დიდ-ძალი ხალხი მოსასმენად ბ-ნ პასტუხოვის მოხსენებისა, რომელიც იმას შეეხებოდა, თუ როგორ ავიდა იგი ყაზბეგის მწვერვალზედ წელს ზაფხულში, და ახალგაზდა ეტნოგრაფის ბ-ნ ტყეშელაშვილის რეფერატისა: რა გავლენა და კავშირი აქვს ჰავის, გეოგრაფიულს მდებარეობას რომლისამე ადგილისას სახლ-კარის ნაშენობაზედ. ორივე მოხსენება ფრიად საინტერესო იყო და დიდის გულ-მოდგინებითაც მოისმინა დამსწრე საზოგადოებამ. ეტყობა, ჩვენს განათლებულს საზოგადოებას გაჰღვიძებია სურვილი და ხალისი თავის ქვეყნის მეცნიერულად შეგნებისა და შესწავლისა.

ბ-ნი პასტუხოვი დიდის წვალებით ასულ მყინვარის მწვერვალზედ. ვერც ერთმა იმისმა მხლებელმა ვერ შესძლო თურმე მიჰყოლოდა ფეხ და ფეხ. ყაზახი კაი დიდ მანძილზედ დარჩა, ოსი-კი გულს არ იტეხდა, მისდევდა პასტუხოვს, მაგრამ მყინვარის სიახლოვეს წასქდა ცხვირიდგან სისხლი და სამ-ოთხს წამს სდიოდა. როგორც იყო შეუჩერა სისხლის დენა. იარეს კიდევ რამდენიმე მანძილი და ოსს ხელ-მეორედ წავარდა სისხლი ცხვირიდგან. ახლა-კი თითქმის ნახევარ საათს სდიოდა სისხლი. რის ვაი-ვაგლახით შეუყენა პასტუხოვმა სისხლი, დასტოვა იმ ალაგას თავის ერთგული მხლებელი და მარტო შეუდგა ძნელს გზას. მოგზაური დიდის წვალებით მიდიოდა წინ, ყინულიანს კლდეებზედ იძულებული იყო საფეხურები გაეკეთებინა და ისე მოეკიდებინა ფეხი. ბოლოს ასე ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ბ-ნი პასტუხოვი ეღირსა თავისს საწადელს და მყინვარს ზედ კენწეროზედ მოექცა. მყინვარის კენწერო არა ჰგავდა არც კონუსს, არც გაშლილს მინდორს და უფრო რკალს ემსგავსებოდა. ამ რკალის სიგრძე სულ ოც-და-თხუთმეტი ნაბიჯია. მყინვარზედ მარტო თოვლი იყო, საკმარისად გამაგრებული, ყინული არსადა სჩანდა, რადგან აქ ყოველთვის ისეთი ყინვებია, რომ თოვლი არც ლღვება და არც ყინულდება. ბ-ნ პასტუხოვს თანა ჰქონია ორ-საჟენიანი კეტი და ბაირაღი. ბაირაღი მიამაგრა თურმე ამ კეტს და შიგ თოვლში ჩაარჭო თითქმის საჟენ ნახევარზე და მყინვარის წვეროზე აფრიალა წითელი ბაირაღი. ბაირაღი ქვემოდგან სჩანს თურმე ამინდში და მაშინ, როდესაც მიდამო ნისლით არ არის მოცული.

მყინვარის მწვერვალს მშვენიერი გადასახედი აქვს. აღმოსავლეთით დაღესტნის მთები სჩანს და დასავლეთით იალბუზიც-კი დაუნახავს, სამხრეთით ტფილისის მიდამოები გამოჩენილა და ჩრდილოეთით, კავკავისკენ-კი ვერა ფერი დაუნახავს საშინელის ჯანყისა და ბურუსის გამო. ბ-ნს პასხუროვს ჩამოსვლა უფრო გასძნელებია მყინვარიდგან, ვიდრე ასვლა. ასვლას მონდომებია ორმოც-და-ცხრა საათი და ჩამოსვლას-კი ორი საათი. საცა ყინული იყო, იქ მოსცურავდა თურმე, და რომ ხევში სადმე არ გადაჩეხილიყო, წვეტიანს ჯოხს ხმარობდა.

მყინვარის გარშემო და თვით იმის კენწეროზედ საშინელი სიჩუმე ყოფილა. პოეტისა არ იყოს, „არსაიდგან ხმა, არსით ძახილი“. მხოლოდ ერთ ალაგას დაენახა ბ-ნ პასტუხოვს მოწითალო პეპელა, რომელიც საშინლად ნელა დაფრინავდა. ბ-ნ პასტუხოვის აზრით, ეს პეპელა ქარს არ უნდა აეტანოს, არამედ იქაური უნდა იყოსო.

საზოგადოების თავმჯდომარემ მადლობა გამოუცხადა ბ-ნ პასტუხოვს ამ გმირულის საქციელისათვის მეცნიერების სასარგებლოდ და სასახელოდ და სთქვა, რომ ამ საქმეში პირველობა თქვენ გეკუთვნით, რადგან თქვენზედ ადრეც ბევრნი სცდილან, მაგრამ მყინვარის მწვერვალზედ-კი ვერავინ ასულაო.

სხვათა შორის ბ-ნ პასტუხოვმა ერთი ფრიად საინტერესო ამბავი მოახსენა საზოგადოებას. არდონის გაშლილს მინდორზედ ნანგრევებია თურმე უშველებელის კედლისა. ის ქვა, რომლითაც ეს კედელია ნაშენი, იქ არ მოიპოვება, მხოლოდ ოცის ვერსის მოშორებით თუ იშოვის კაცი, კავკასიონის მთებში, და როგორ, რა გზით გამოზიდეს იქიდგან, არავინ იცისო. ხალხი-კი თავისებურად ჰხსნის ამ კედლის აშენებას, ლეგენდის გადმოცემით, ეს ნანგრევები აუგია სა-

---

ჰნახავთ, როგორს უნარსაც გამოვიჩენთ მეურნეობაშიო.

ხანდახან ისე შევტოპავთ ხოლმე ასეთს მოსაზრებაში, რომ მზადა ვართ თვალები დავხუჭოთ და აღარ დავინახოთ ნამდვილი ვითარება ჩვენის ავ-კარგიანობისა. თორემ განა ჩვენში-კი ცოტაა ისეთი მამულები, რომელნიც სრულებით თავისუფალნი არიან ყოველ გვარ დავიდარაბისაგან! რატომ ასეთი მამულები მაინც არ არიან უკეთესს დღეში, რატომ ისინი მაინც არ აძლევენ პატრონს დახმარებასა და საკმარისს ლუკმა-პურს!

რის დახმარება, რის ლუკმა-პური. აქაც ჩვენი მეურნეობა იმ ყოფაშია, როგორც გაუყოფელსა და საერთო მამულებზე. იგივე გადაჩეხილი და აოხრებული ტყეები, იგივ შამბმოდებული მინდვრები, იგივ უსარგებლოდ და ოხრად მიმავალი წყლები და მდინარეები, იგივ ჩამონგრეული ქოხები, დაქცეული ციხე-დარბაზები, უპატრონოდ თავ-მინებებული კოშკები, იგივ გავერანებული ზვრები და სხვანი, და სხვანი.

ჩვენში ბევრი ისეთი მემამულე შეგხვდება, რომლის მთა და მინდორი მთელს საჰერცოგოს უდრის. რიგიანი მომვლელი ამისთანა მამულებს იმდენს გამოარჩებოდა, რომ თითონაც მეფურად ეცხოვრნა, თავისი მამულდედულიც სულ პატარძლივით მორთულ-მოკაზმული ჰქონოდა, შვილებიც კარგად გამოეზარდნა და ქვეყნისთვისაც თავისი ღონიერი ზურგი მიეცა და მხარი შეეყენებინა თანამემამულეთა კეთილდღეობისათვის. მაგრამ ქართველია პატრონი ამისთანა სიმდიდრისა და ამიტომ, სხვებს რომ გული არ გაუტეხოს, თითონაც ისეა გამოფხეკილი, როგორც ჯიბე ყოველის ჩვენის კეთილშობილ თანამემამულისა. ათასში ერთს თუ შეჰხვდებით ისეთს ქართველს, რომელიც სათანადოთა ჰპატრონობდეს თავის საცხოვრებელს და აქედამ უზრუნველი ჰქონდეს რიგიანი საჭმელ-სასმელი, ტანთსაცმელი, მორთული სახლი და კარი. თორემ უმრავლესობას უთუოდ თავ-პირი უნდა ჩამოსტიროდეს გაჭირვებისაგან, უთუოდ სახლ-კარი თავზე უნდა ექცეოდეს, უთუოდ ისეთი ეზო და კარ-მიდამო ჰქონდეს, რომ ჩქარობდე — მალე გავახწიო აქედამ თავიო, უთუოდ ლუკმა-პური უნდა ენატრებოდეს და ამიტომ სხვათა ხელში შემაყურალი იყოს, ან მიისწრაფებოდეს სამსახურში, გინდაც უფროსის მწერლის თანაშემწის ხელქვეითად.

ან რა ჰქმნასო, ვამართლებთ ამისთანა ქართველს: მეურნეობამ როგორ უნდა შეინახოს ჩვენში კაციო!..

**

ხოლო რა დღეშია გაუმიჯნველი მამულები, ეს ხომ საარაკოდ გადასაცემი ამბავი გახდება ჩვენის შვილიშვილიშვილებისთვის. აიღეთ თუნდა მაგალითად თვალი და გული ქიზიყის მამულებისა, ვაჩნაძიანთ ტყე და მინდვრები გაღმა მხარში. მართალია, რიცხვი ამ გვარეულობის წარმომადგენელთა იმოდენაა, რომ ქიზიყში ანდაზადაც ამბობენ: ქვას რომ ფეხი წამოჰკრა, უთუოდ რომელიმე ვაჩნაძე წამოგადგება თავსაო, მაგრამ მაინც ისეთი თვალ-მიუწვდენელი ტყე და მინდვრები აქვს ამ გვარეულობას, რომ თუ-კი რიგიანი მომვლელი გამოჩნდებოდა, ყოველ ვაჩნაძეს გაჩაღებული ოჯახი ექნებოდა, არც ერთს ვაჩნაძეს არ ეცოდინებოდა, რა არის გაჭირვება, რასა ჰქვიან უფულობა, რა არის სიმშილი და სხვა ამისთანები. დღეს-კი ამოდენა საცხოვრებელი ერთსა და ორს ოჯახს თუ აძლევს ლუკმა პურს, იმასაც საყვედურისას, თორემ დანარჩენნი ისეთს ყოფაში არიან, რომ ღმერთმა ყოველი ბოგანო და ტაბარუკი დღიური მუშაც დაიფაროს.

დაწვრილებით არ ჩამოგითვლით იმ გაუთავებელ სკანდალებს, რომელიც გვიხატავს ფრიად სამწუხარო განწყობილებას გვარეულობის წევრთა შორის ან მემამულეთა და მხმარებელთა შორის, ამ საგანს წელს ზაფხულში ბ-ნმა კახელმა უძღვნა სამი ვრცელი წერილი (№№ 119, 127 და 139), რომლიდამაც მკითხველი ჰხედავს, რომ ეს საუცხოო მამული, გადაჭიმული რამდენსამე ათასს დესეტინაზე, ეს ამოდენა ღვთის წყალობა იმიტომ-კი არ ურგუნებია ბედს ვაჩნაძეებისათვის, რომ ამ გვარეულობამ შეჰქმნას თავისთვის დამოუკიდებელი ცხოვრება და ნეტარი მდგომარეობა, არამედ იმიტომ-რომ ამ გვარეულობამ ამოსწყვიტოს ერთმანეთი, იმიტომ, რომ ყოველმა ვაჩნაძემ ხმალზე გაიკრას ხელი, რაწამსაც-კი თვალს შეასწრობს სადმე თავის გვარის კაცს, და კიდევ იმიტომ, რომ სუსტი ვაჩნაძე მოსისხლე მტერი იყოს ღონიერის ვაჩნაძისა.

სხვაგან სრულებით გაუნათლებელი მუშა ხალხიც-კი ჰგრძნობს, რომ საერთო მფლობელობა მამულისა, საერთო წარმოება უფრო მომეტებულს შემოსავალს იძლევა, ვიდრე განცალკევებული, და ამიტომ უერთდებიან ერთმანეთს ისეთი კაცები, რომელთაც ურთიერთ შორის არა აქვთ არც ნათესაობა და არც მეგობრობა. ბევრგან ჩვენშიაც შეგვხდებათ გლეხობაში საერთო მფლობელობა მიწისა. წევრთა შორის ჰსუფევს მოსაწონი განწყობილება. ყველა თავისასა სჯერდება, შემოღებული აქვთ თავიანთი წესი და ყველანიც ემორჩილებიან ამ წესს, რადგან იმდენი გაგება მაინცა აქვთ, რომ პატივსა სცემენ წესს და იციან, რომ უწესოებით მარტო პირუტყვი თუ მოახერხებს ცხოვრებას. თუ უსამართლობა რამ ჩაიდინა ერთმა წევრმა ასეთის საზოგადოებისამ მეორე წევრის მიმართ შესახებ მიწის სარგებლობისა, მაშინ დანარჩენნი განასამართლებენ იმის საქციელს და

ქართველოს გამოჩენილს დედოფალს თამარს. იმ კლდიდგან, სადაც მოიპოვება ქვა, თამარმა თავისი ჯარისკაცები დაამწკრივა თურმე ოცის ვერსის მანძილზედ, ერთი-ერთმანეთს აწოდებდნენ ასაგებ ქვას და ისე დაამთავრეს კედლის აშენება. თამარს ისე ესიამოვნა კედლის სწრაფად აშენება, რომ აღთქმაც-კი მისცა უფალს, არდონის ნაპირზედ ტაძარს ავიგებო. მართლაც, ამ მდინარის ნაპირზედ ეხლაც არის ნანგრევები ეკკლესიისა. ამ ეკკლესიისთვის საქართველოს მეფეს ვახტანგ მეორეს ერთი ზარი შეუწირავს. სამწუხაროდ, ბ-ნ პასტუხოვმა არ მოიხსენია, ამ ზარს აქვს ქართული ზედ-წარწერა, თუ ეს ამბავიც სხვისაგან შეიტყო.

ნაკლებ საინტერესო არ იყო ჩვენის ახალგაზდა ეთნოგრაფის ბ-ნ ტყეშელაშვილის რეფერატი. ბ-ნმა რეფერენტმა უპირველეს საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადა, რომ ჩემი რეფერატი სრული არ არის, ამისი მიზეზი მე არა ვარ, რადგან იმ საგანს, რომელსაც ჩემი რეფერატი შეეხება, ჯერ კარგად ვერ მოუკიდებია ფეხი მეცნიერებაშიო. მხოლოდ ამ უკანასკნელს დროს მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა დიდი გავლენა აქვს ჰაერსა და ადგილის გეოგრაფიულ მდებარეობას სახლ-კარის ნაშენობაზედ.

უმთავრესი აზრი რეფერენტის მოხსენებისა ის იყო, რომ ადამიანი თავისს ბინასა და სადგომს ბუნების მიხედვით აშენებსო. ცხელს ქვეყნებში, მაგალითად, ეგვიპტეში, ასირია-ბაბილონში, ჩვენს საქართველოში და თვით საბერძნეთშიაც სახლ-კარს ის დანიშნულება აქვს, რომ ადამიანი სიცხისაგან დაიცვას და დაიფაროს. ამისათვისაც ამ ქვეყნებში სახლებს სახურავს სწორეს უკეთებენ, მიწას ბლომად აყრიან და ან თვით მიწაში მიძვრებიან.

სადაც ჰაობიანი ადგილია, იქ ადამიანი ბოძებზედ აშენებს სახლ-კარს, როგორც, მაგალითად, თითო-ოროლგან იმერეთში. ჩრდილოეთში-კი ადამიანი სცდილობს ყინვასა და სინესტეს გაუმაგრდეს და ამისდა გვარად სახლსაც ისეთს აშენებს, რომ თბილ-დეს და სიცივე არ შედიოდეს. რეფერენტი თავისს უმთავრესს აზრს მრავალის მაგალითით ამტკიცებდა. ეტყობოდა, ახალგაზდა მოღვაწეს სინიდისიერად შეესწავლა თავისი საგანი და შევენო ხასიათი ჩვენის ქართულ სახლ-კარის ნაშენობისა.

დასასრულ ბ-ნმა ტყეშელაშვილმა სთხოვა საზოგადოებას, ხელი შეუწყოთ ამ ნორჩს შტოს მეცნიერებისას, რომელიც ეს არის ეხლა იდგამს ფეხსაო. საზოგადოებამ აღუთქვა, რომ ჩვენის მხრით არაფერს დავიშურებთ და შემწეობასაც არ დავზოგავთ, რამდენადაც-კი შეგვეძლებაო.

ა. ფრონელი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ტირძნისი (გორის მაზრა), 10 დეკემბერი. წრევანდელმა წელიწადმა ძალზე იძუნწა. თითქმის ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხიდგან საზოგადო ჩივილი პურ-ღვინის მოუსველელობაა. ჩვენს ტირძნისშიაც ყველას ერთი და ვარამი აწუხებს—მოსავლის ნაკლებობა. ჩვენს გლეხებს ან რაღამ უნდა გაუკეთოს გული იმის შემდეგ, რაც მთელი ერთი წალიწადი ჭაპანწყვეტით ოფლი სწურა, ავად თუ კარგად გაუძლვა ყველას, ხელმწიფესაც, მღვდელსაც და ათას სოფლის სხვადა სხვა გაჭირებასაც, თუ მომავალ წლამდე სამყოფი პური და ღვინო არ დაურჩება სახლში. ახალი წელი სადაც არის გვიდგება, სახელმწიფო გადასახადის დრო ახლა არის, ყოველ ცისმარე დღე სოფლის „კანცელარია" ხალხით გაჭედილია. ჩივილ-გოდება შეუძლებლობისა, მაგრამ მამასახლისი ყველას ერთისა და იმავე გულსაკლავის პასუხით ისტუმრებს: კაცო, ქრისტიანო, მე რა გიყო, უნდა ილოდე, ვალს გადახდა უნდა. გლეხი ერთს სიმწარით ამოიოხრავს და წაიდუდუნებს: «მაშ რაც გინდა მიყავიო». ეს შემოდგომა გავიდა და, როგორც აქ იტყვიან, „ეკკლესიაში ორჯელაც არ გაუტკბილებიათ პირი შაქრით". როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს გლეხ-კაცობაში ჯვარის წერის მეტ-ნაკლებობაც მოსავალზე არის დამოკიდებული. ახლა ამას წრევანდელის ზამთრის უდროოდ მობრძანებაც დაუმატეთ. მეტი რა ჯანია, ამასაც უნდა გავუძლოთ, სავალალო ის არის, რომ მეტის-მეტი აშარი რამ გამოდგა: დღეს რო ითოვლოს, ხვალ უსათუოდ ქარი უნდა გამოტყვრეს, ზეგ წვიმას წაუშენს დედამიწას და მაზეგ-კი ისეთ ტალახად იქცევა გზა, რომ სიარული გულშიაც არ უნდა გაიელოთ. ერთი უხვად თოვლი მაინც როდი გველირსა, რომ სამარხილო გზა დამდგარიყო და გლეხს ზამთრისათვის ცოტაოდენი ფიჩხი ჩამოეტანა. აბა რა ზამთარი უნდა იყოს, თუ ჩვენმა გლეხმა გუგუნა ცეცხლს გული არ მიუშვირა! სწორე მოგახსენოთ, არაფერი ლოცვით სახსენებელია წრევანდელი წელიწადი ჩვენის გლეხისათვის.

მართალია, ყველაფერს დიდი ვაივაგლახით ვუძლებთ, მაგრამ თავი და თავი, როგორც მაგ. ჩვენი შვილების მომავალი, არ გვავიწყდება და ამისათვისაც შეძლებისამებრ ვზრუნავთ, ვსცდილობთ როგორმე სხვებს არ ჩამოვრჩეთ. ეს მესამე წალიწადია, რაც სკოლა არსებობს. ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის პატივცემულ ივანე დავითის ძეს სულხანიშვილს, რომელმაც სოფელს უსასყიდლოდ დაუთმო სასკოლო ადგილი და უმეტესი ნაწილი სკოლის შენობის მასალისა. ახლა სიამოვნებასა ჰგვრის კაცს სოფლის შუაგულ თვალ-საჩინო ალაგზე გამართული სამ-ოთახიანი ქვის შენობა. ერთი კარგა მოზრდილი ნათელი ოთახი საკლასოა და ორიც პატარა მასწავლებლისათვის. დღეს უკვე 40-მდე შეგირდი დადის ამ სასწავლებელში და მათ შორის 5 ქალი. იმათს მალხაზსა და ცქრიალა პირისახეს რომ უყურებს კაცი, გული უმხიარულდება.

მაგრამ, სანამ აწინდელ მდგომარეობამდე მოაღწევდა ჩვენი სკოლა, უნდა იცოდეთ რამდენი ვაი-ვაგლახი გამოიარა, რამდენი დაბრკოლება ელობებოდა მის წარმატებას. ვილაც ბოროტმა კაცმა ხმა დაავდო სოფლელთ შორის, რომ პატივცემული ი. დ. სულხანაშვილს სკოლის შენობა თავის საჭიროებისათვის უნდა და თქვენის შვილების დარდი იმას სიზმრადაც არ მოზმანებიაო. ზოგმა ისიც დასძინა, რომ სკოლაში ვინც ივლის, უსათუოდ ჯარში უნდა წაიყვანონო. თქვენც მიხვდებით, ამისთანა ხმა სოფლელთათვის რა წამქეზებელი უნდა ყოფილიყო, ან თვით სულხანიშვილისათვის რამდენად სასიამოვნო. მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ყოველ კეთილს საქმეს, მეტადრე ჩვენში, ხელის შემშლელი ათას გზით გამოუტყვრება, იცოდა, რომ ბრძოლის ველზე უკან დახევა და სულით დაცემა საქმეს წინ ვერ წასწევდა, და გაორკეცებულის სიმხნითა და თავ-გამოდებით მოეკიდა. არ დაჰზოგა არც ხარჯი, არც ჯაფა, დაუმსახურებელი და უალაგო ცილის-წამებაც გულის სიმშვიდით აიტანა, ვისზედაც შთაგონებამ იმოქმედა, შთაგონებით მოიმხრო და მონაწილეობა მიაღებინა საშვილი-შვილო საქმისათვის შრომაში, ვისაც გულ აცრუებამ ვერ გადუარა, ძალით ამოქმედა და, თითქოს მტრის გულის მოსაკლავად, თავისი გაიტანა და ბრძოლის ველზე გამარჯვებაც იმას დარჩა. დღესაც სკოლის მფარველი და ხელის შემწყობი ბ-ნი სულხანიშვილია. თუმცა თავის სოფელში სკოლაც დააარსა, სადაც გლეხის შვილები წერა-კითხვას სწავლობენ, მაგრამ იმისი გულითადი სურვილი მარტო ამით არ განსაზღრულა. როგორც თავად-აზნაურობის წინამძღოლს, სურს (რა თქმა უნდა, თავად-აზნაურობის მინდობილობით) იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, გორის მაზრაში სამეურნეო სკოლის გახსნას, რადგან ასეთი სკოლა პირდაპირ შეეფერება მკვიდრთა მოთხოვნილებასაო.

თ. ს.

# უცხოეთი

ავსტრი-უნგრია. „Pesther Lloyd"-ი დიდ-ძალს წერილებსა ჰბეჭდავს ამ ჟამად სერბიის შესახებ და ამტკიცებს, რომ სერბიის პოლიტიკა რუსეთის გავლენის ქვეშ არისო. სერბიის სახელმწიფო კაცთ ხომ ისე აჰხვევიათ თვალი რუსეთით, რომ სერბიის ჭეშმარიტი ინტერესები არა-ჭეშმარიტისაგან ვეღარ გაურჩევიათო. სერბიის მთავრობა, ავსტრიის სიძულვილით, ესლა რუსეთს მიჰკვრია და იმ ცრუ იმედით ჰნუგეშობს, რომ ევროპა რუსეთს ნებას დართავს სერბიისაგან გაიწიოს და იქიდგან იმოქმედოს ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის საქმის სისრულეში მოსაყვანად, ერთის სიტყვით, ის სურვილი განისორციელოსო, რომელმაც ბერლინის კონგრესზედ ისეთი გადაწყვეტილი წინააღმდეგობა გამოიწვიაო. გაზეთი თავისს წერილს იმითი ათავებს, რომ ურჩევს სერბიის სჯერო დასს: მამულიშვილის მოვალეობა ნუ გავიწყდებათ, დროა ჭკუაზედ მოხვიდეთ და რუსეთს არ ემონებ-ექვემდებარებოდეთ, რადგან, თუ მაგ პოლიტიკას მისდიეთ, სერბია, განვითარდება-კი არა, უკან და უკან დაიწევს პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც. ასევე აფრთხილებს „Pesther Lloyd"-ი ოსმალეთსაც, რომლის ოფიციოზურმა გაზეთ „თარიკმა" ამას წინად გამოაცხადა, რომ თუ ევროპაში ბრძოლა ასტყდა, ოსმალეთი თავისის ნეიტრალიტეტის დაცვას შეიძლებს იმ შემთხვევაშიაც-კი, თუნდა ამ ბრძოლამ ბალკანეთის ნახევარ-კუნძულიც თან ჩაითრიოსო. პეშტის გაზეთი უმტკიცებს ოსმალეთს, რომ ნეიტრალიტეტის დაცვა არ უნდა იმაროს, რადგან ომი ოსმალეთს ახლო ასტყდება, იმ ადგილებში, რომელიც წინად ოსმალეთის საკუთრება იყო და რომლის დაპყრობაც რუსეთს სტამბოლისაკენ გასავლელ გზადა სჭირდებაო.

საფრანგეთი. ბულანჟეზე ეხლა საფრანგეთში და თვით ჟურნალ-გაზეთებშიაც კანტი-კუნტად თუ ისმის ხმა, სულ ერთიანად დაივიწყეს ეს დევ-გმირი შარშანდელის თოვლივით და ცოცხლებში აღარავინ ასხენებს. ამას წინად საიდგანღაც გამოატყვრინეს თურმე პარიჟში ხმა, რომ ნაგენერალარი ფარულად მოვიდა აქაო. ჟურნალისტმა ფუკო-დე-მონდიონმა უკვე რამდენსამე გაზეთში დაბეჭდა კიდეც, რომ პოლიციამ ჩემი სახლიც გაჩხრიკა, მანდ ხომ არ იმალება ბულანჟეო. თვით დევ-გმირი რაღას აკეთებს ეხლა? არაფერს, დრო-გამოშვებით ხმას იღებს და საზოგადოებას თავის თავს აგონებს, რადგან ძალიან ეშინიან, რომ სულ ერთიანად არ დამივიწყონო. ამ დღეებში, როგორც ჩვენს მკითხვე-

---

მხარს მისცემენ დაჩაგრულს. მათი განაჩენი სავალდებულოა ორთავესთვის. ასე მიჰყავთ საქმე და არიან თავისთვის. ხმალს, ხანჯალს, კეტებს, მუშტიკრივს, რომელთაც ასეთი უხვი ვარჯიში ჰქონიათ ვაჩნაძეთა შორის, თითქმის სრულებით არა აქვს ადგილი გლეხთა ამ გვარ საზოგადოებაში.

ვაჩნაძეაანი-კი ძალად დაუკავშირებია გაუყოფელს მამულ-დედულს, დაუახლოვებია ერთმანეთში ერთს ჩამომავლობას, ერთს გვარეულობას, ერთს სისხლსა და ხორცს, მაგრამ რად გინდათ!.. ვერ მოსთვლის კაცი, რამოდენა უსამართლობას აყენებს ერთი ვაჩნაძე მეორეს, ოღონდ-კი მკლავმა არ უმტყუნოს, ოღონდ იგი მეორეზე ღონიერი გამოდგეს ფიზიკურად ან მომეტებულის ქონების პატრონი იყოს. ეს ამოდენა გვარეულობა შეთოფ-იარაღებულა და სულ იმის ფიქრში ატარებს დღეს, რომ როგორმე ავნოს თავის მოწილეს. ყველანი-კი მისდგომიან ამ მდიდარს ტყესა და მინდორს და საკვირველის ბეჯითობით თვალსა სთხრიან თავიანთს საუნჯეს, დაუნდობლივ ჰკაფავენ, აოხრებენ და ატიალებენ თვალ-უწვდენელ ხეებს, ავერანებენ უძვირფასესს მინდვრებს, თითქო ველური ხალხი მისდგომია მტრის საკუთრებასა და არ იცის დანდობაო!..

**

აქედამა ჰხედავთ, რამ სიშორეზე ვდგევართ ჩვენ მეურნეობაზე, ჰხედავთ, რომ ასეთი მოქმედება მეურნეობა-კი არ არის, ომი და ოდიგარია. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენნი მემამულენი ირჯებოდნენ, უვლიდნენ მამულსა და დედულს, რომ უსაყვედურო ყოფა-ცხოვრება მოიპოვონ ამ წუთი-სოფელში, თითონაც ირგონ და სხვასაც გამოადგნენ, ისინი არც თითონა სარგებლობენ, არც სხვებს ასარგებლებენ, თითონაც უმადურნი არიან, სხვებიც მომდურებულნი ჰყავთ, და ვართ ასეთს საზიზღარ ყოფაში. გარჯას, წესიერებას, რიგსა და რიგიანობას ისე გაურბით, თითქო ამაზე მავნებელი არა გაუჩენია-რა საზოგადოებას თავისთვისაო და თითქო რაც მისგან შორს დაიჭერს თავს კაცი, მით მომეტებულს ბედნიერებას შეეყრებაო. ბ-ნი კახელი გვწერდა, რომ ერთხელ როგორღაც შეცდომით მოუვიდათ ვაჩნაძეებს აზრი წესისა და რიგის ჩამოგდებისა მამულის ხმარებაშიო. საქმე პირველადვე ჩინებულად მიდიოდა. მთელმა ქიზიყის ხალხმაც მოისვენა, რადგან ათას პატრონთან აღარა ჰქონდა საქმე და ათასსავე აღარ ეძარცვინებოდა და ერბევინებოდა. თვით მემამულეთაც აიხსნეს თოფ-იარაღი და ლამის ისეთი დილა თენდებოდა, როდესაც ყოველ ვაჩნაძეს აზრად მოსდიოდა ხელი აელო საგვარეულო ჩხუბსა და დავიდარაბაზე და ენაღვლა რამ ადამიანური საქმე თავისთვისა. მაგრამ სულ რამდენსამე თთვეს გასტანა ასეთმა ყოფამ. გამართლდა ხალხის ანდაზა, რომ „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსა" და აგრეთვე ისა, რომ „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი". ვერ იშენიეს მშვიდობიანობა ვაჩნაძეებმა, ვერ შეიფერეს წესი და რიგი, დაითხოვეს ამორჩეული კაცები, გაიყვეს შემოსავალი, დაათვრეს თავთავიანთი მომხრენი და მეორე მესამე დღეს მიუბრუნდნენ კვლავ ერთმანეთთან ომსა და ვაი-ვაგლახს, კვლავ მიჰყვნენ უდიერს ჩეხას ტყისას და განადგურებას მამულ დედულისას.

ასეთს უბედურს ვარსკვლავზე გამოვიდა ქართველი კაცი ამ მეცხრამეტე საუკუნეში ცხოვრების მოედანზე: არ გაგეგებოდეს კარგი და ავიო, არ გესმოდეს არც განცალკევებული და არც საამხანაგო გაძღოლა საქმისაო, არ იცოდე არც შენი საკუთარი ფასი, არც ყადრი შენის საზოგადოებისა და ხალხისაო, დასუსტდი და დალაჩრდი თვით იმ ხელობაშიაც-კი, რომელიც უხვად აჯილდოებდა შენს მამა-პაპას და გაუჭირებლივ აცხოვრებდა თავმოწონებულსაო, განაცარქექიავდი თვით მეურნეობაშიაც-კიო.

**

ამ უბედურს ვარსკვლავსა და ასეთს წყევას გაუმკლავდა ჩვენში ერთადერთი ქართველი. გამართა სკოლა, რომ ჩვენს ხალხს კვლავ შეჰყვარებოდა მეურნეობა, კვლავ გონივრულად მოეკიდნა ხელი სოფლის წარმოებისათვის. იშვიათმა ვინმემ მიაწოდა ამ ჭკვიანურს საქმეში ხელი ბ-ნ წინამძღვარიშვილს. მთელი თავისი მხნეობა, მთელი თავისი საცხოვრებელი გადააგო ამ საქმეს. მაგრამ აგერ გაწყრა ჩვენი უგემური და უმადური ბედი, უბედურს ხალხს მოგვეწია ქვა აღმართს და შეუბრალებელმა ცეცხლმა ნახევარზე გადაწვა დაუფასებელი ამაგი ამ იშვიათის ქართველისა! დავრჩით გულ-ხელ დაკრეფილნი, პირში ჩალა-გამოვლებულნი, გავხდით მტრის გულისა, და ვინ იცის, ასეთი საქვეყნო უბედურება ცოტათი მაინც შეატოკებს გულს ჩვენთა თანამემამულეთა, თუ არა! ვინ იცის, გავზომავთ ამ საშინელს ზარალს და ვიხმართ რაიმე ღონისძიებას, რომ ცოტათი მაინც მხარში ამოვუდგეთ ამ ჩვენთვის თავდადებულს ქართველს, თუ არა!.. მაგრამ იქნება ამ უბედურებამ მაინც აგვიხილოს თვალი და შეგვასმინოს, რომ დღეს ჩვენის კეთილდღეობის ერთადერთი ღონისძიება არის მეურნეობის ცოდნა, რომ მამულ-დედულის მოვლა-პატრონობის გარდა ჩვენთვის გარემოებას აღარა დაუნარჩუნებია-რა თავის შესანახავად, რომ გარეშე სოფლის საქმისა მთელის ჩვენის ხალხის არსებობას აღარა აქვს ადგილი და განსაცდელშია ჩავარდნილი. იქნება ეხლა მაინც დავინახოთ ეს ჭეშმარიტება და ყოველი ჩვენგანი შეძლებისა დაგვარად დაეხმაროს სამეურნეო სკოლის აღდგენასა და გაძლიერებას. იქნება!..

სანო

